ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

განცხადება

თქვენი 2021 წლის 19 მაისის შუალედური გადაწყვეტილების (განცხადების #AR1826804) დაზუსტების მიზნით მოგახსენებთ შემდეგს:

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის, ოჯარის ხელშეკრულების (ფაილის სახელი: (18-05-2021 16_44) ფოტომონტაჟი 0.pdf) 6.2.5. პუნქტის თანახმად, მოიჯარე (სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი): **„საოჯარო ფართზე (მათ შორის შენობა-ნაგებობის ფასადზე) ან/და მის ტერიტორიაზე განათავსოს მის ან/და მასთან დაკავშირებული (მათ შორის აფილირებული/ურთიერთდამოკიდებული პირების) პირების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული სარეკლამო მასალები, აღმნიშვნელი აბრა და სხვა. ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მეოჯარე აცხადებს თანხმობას მოიჯარის მიერ ასეთი აბრის, სარეკლამო მასალის საჯარო სფეროში განთავსებაზე. შესაბამისად, მოიჯარე უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ (თვითმმართველ) ორგანოებს საშენებლო/სარეკონსტრუქციო ნებართვის მისაღებად, რაც არ საჭიროებს მეოჯარისგან რაიმე სახის დამატებით თანხმობას".** აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა შორის გაფორმებული ოჯარის ხელშეკრულების თანახმად, შენობის ფასადზე წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილი მშენებლობის ნებართვა, ისევე როგორც მშენებლობა არ საჭიროებს მესაკუთრისგან დამატებით წერილობით შეთანხმებას.

რაც შეეხება თქვენ მიერ წინამდებარე განაცხადის საფუძველზე, თქვენ მიერ მოთხოვნილი ფოტოსურათების და ფოტომონტაჟების წარმოდგენას, მოგახსენებთ რომ წინამდებარე წერილზე თანდართული დოკუმენტის სახით, წარმოგიდგენთ, როგორც ორიგინალ ფოტოსურათებს (დაუმუშავებელი) ისე მასზე შესრულებულ ფოტომონტაჟს.

დამატებით, დაზუსტების სახით, მოგახსენებთ რომ ზემოაღნიშნული განცხადებით მოთხოვნილი ე.წ. ლაითბოქსის ჯამური ფართობი, არ აღემატება სრული ფასადის ფართობის 20%-ს. კერძოდ: სრული ფასადის ფართობი შეადგენს (23,68X38) 118 კვ.მ -ს განსათავსებელი ე.წ. „ლაითბოქსის" ჯამური ფართობი კი - (21,098X0,748) 15,61 კვ.მ -ს ანუ, სრული ფასადის ფართობის 13,23%-ს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ წინამდებარე განცხადებით დაზუსტებული გარემოებები და გასცეთ მოთხოვნილი მშენებლობის ნებართვა.

წინამდებარე განცხადებას თან ერთვის:

1. ფასადის ფოტოსურათი და ფოტომონტაჟი

პატივისცემით,
წარმომადგენელი,
ანრი გვაზავა

ქ. თბილისი, 26 მაისის ქუჩა №1, კორპუსი 2 (ე.წ. ბაქოს მოედანი)
ტელ: +995 32 2 444 999


18 May 2021 at 11:09:3
Luarsab Andronikashvili Stree
Georgi


18 May 2021 at 11:09:3
Luarsab Andronikashvili Stree
Georgi
23,6 ə.
5 ə.


18 May 2021 at 11:09:3
Luarsab Andronikashvili Stree
Georgi
23.68
5მ.